

„საქართველოს საფონდო ბირჟის“  
გენერალურ დირექტორს

როგორც სს „სილქნეტის“ 2018 წლის 21 მარტის N1259/05-8 წერილით 2018 წლის 20 მარტს შპს „ჯეოსელის“ 100%-იანი წილის მფლობელი გახდა სს „სილქნეტი“. აღნიშნული წერილზე დამატებით „ფასიანი ქალაქების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16<sup>1</sup> მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, გაცნობებთ, რომ სს „სილქნეტის“ მიერ შპს „ჯეოსელის“ 100%-იანი წილის შეძენის ტრანზაქციის ფარგლებში, სს „სილქნეტმა“ მისი დამფუძნებლისა და აქციათა 100%-ის მფლობელი კომპანია Rhinestream Holdings Limited-ისგან აიღო სესხი 17 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით („აქციონერის სუბორდინირებული სესხი“), რომლის დაფარვის ვადაა 2028 წლის 15 მარტი. ამავე დროს, ჯეოსელის 100% წილის სანაცვლოდ, გარდა წილის ფასის გადახდისა, კომპანიამ წილების გადაცემის მომენტისთვის Fintur Holdings B.V.-ს გადაუხადა ამ უკანასკნელის მიერ ჯეოსელისთვის მიცემული სესხის ძირითადი თანხა და მასზე დარიცხული პროცენტი, აღნიშნულის გათვალისწინებით, სს „სილქნეტსა“ და შპს „ჯეოსელს“ შორის გაფორმდა შესაბამისი სესხის ხელშეკრულება. ჯამში შპს „ჯეოსელის“ შესყიდვის ტრანზაქციის საფასურმა 151.7 მილიონი დოლარი შეადგინა.


გამატებით ასევე გიგზავნით ინფორმაციას აღნიშნული ტრანზაქციის ფარგლებში განხორციელებული მნიშვნელოვანი გარიგებების შესახებ:

- 2018 წლის 16 მარტს კომპანიასა და თიბისი ბანკს შორის გაფორმდა საბანკო კრედიტის ხელშეკრულება (შემდგომში „ძირითადი კრედიტი“). ძირითადი კრედიტის თანხა შეადგენს 110 მილიონ აშშ დოლარს. ძირითადი კრედიტი სინდიცირებულია და თიბისი ბანკის გარდა, სინდიცირებაში მონაწილეობენ შემდეგი ბანკები: სს ვითიბი ბანკი ჯორჯია, სს იმ ბანკი საქართველო, სს ბაზის ბანკი, სს ტერაბანკი, სს პაშა ბანკი საქართველო, Pasha Yatirim Bankasi A.S. (პაშა ბანკი თურქეთი), სს ლიბერთი ბანკი და სს ბანკი ქართუ. ძირითადი კრედიტის თანახმად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა ვალდებულების შესრულება მოხდება თიბისი ბანკის წინაშე. ასევე, ზემოთ მითითებული ბანკებისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებებს ყველა ბანკის სახელით განახორციელებს თიბისი ბანკი.
- 2018 წლის 16 მარტს კომპანიასა და თიბისი ბანკს შორის გაფორმდა საბანკო კრედიტის ხელშეკრულება (შემდგომში „სუბორდინირებული კრედიტი“). სუბორდინირებული კრედიტის თანხა შეადგენს 10 მილიონ აშშ დოლარს.

- 2018 წლის 30 მარტს სს „სილქნეტის“ მიერ განხორციელდა საქართველოში, მხოლოდ თვითგაცნობიერებული ინვესტორებისთვის კერძო შეთავაზებისთვის განკუთვნილი, ჯამური 10,000,000 (ათი მილიონი) აშშ დოლარის ნომინალური ღირებულებისა და წლიური 8.5% საპროცენტო განაკვეთის (სარგებლის) მქონე ობლიგაციების გამოშვება. ობლიგაციების განაღდების (დაფარვის) თარიღი – ობლიგაციების გამოშვებისა და განთავსების თარიღიდან 3 (სამი) წლის შემდეგ. თითოეული ობლიგაციის ნომინალური ღირებულება გამოშვებისა და განთავსებისას: 50,000 (ორმოცდაათი ათასი) აშშ დოლარი. ფასი გამოშვებისა და განთავსებისას: ნომინალური ღირებულების 100% (ასი პროცენტი). აღნიშნული ობლიგაციებით განხორციელდა “პირითადი კრედიტის” ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების ნაწილობრივ რეფინანსირება.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორი  
დავით მამულაშვილი



---